რონა პერტია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

რუსული პროპაგანდის ნარატივები და მითები როგორც რბილი ძალის ელემენტები

რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მეთოდოლოგიაში უხეში ძალის პარალელურად, მოსკოვი საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო ხშირად მიმართავს ე. წ. რბილი ძალის თავისებურ ნაზავს. ეს ნაზავი, როგორც წესი, ეკონომიკური და იდეოლოგიური შეღწევის სხვადასხვა ფორმაა. ამისთვის რუსეთს შედარებით „ნოყიერი" ნიადაგი ხვდება ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც საზოგადოების დიდ ნაწილში ჯერაც ცოცხალია საბჭოთა პერიოდის „კავშირები" [1, 3].

„რბილი ძალა", ძირითადად, სამ კომპონენტს ეფუძნება: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. ეს არის ძალა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. ამ ძალის გამოყენება მხარეთა ორმხრივი ნების საფუძველზე ხდება. როცა „რბილი ძალის" შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომელ პოლიტიკურ აქტორსა და რესურსს ვგულისხმობთ.

ჩვენი კვლევის საგანია რუსეთი და მისი საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით აქტიურია იმ სახელმწიფოებში, რომლებიც რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროში მოიაზრებიან და აშკარად ახდენენ პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დეკლარირებას. დღეს ძალიან ბევრი იწერება და საკმაოდ კარგად გამოიყენება მედია საშუალებები და სოციალური ქსელები იმისთვის, რომ წარმოაჩინონ რა არის სინამდვილეში რუსული რბილი ძალა.

რუსეთის რბილი ძალის მახასიათებლები საქართველოში ძირითადად ორ კატეგორიაში შეგვიძლია მოვაქციოთ: 1. საქართველოს კულტურული (ღირებულებები და წეს-ჩვეულებები)

და ისტორიული კავშირები რუსეთთან 2. დასავლური პოლიტიკური ღირებულებები რუსეთის ე. წ. „რეალპოლიტიკის“ (ძალის პოლიტიკა) წინააღმდეგ.

რელიგიური წარმოდგენები და კულტურული მეხსიერება რუსეთის რბილი ძალის არსენალში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია.

საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა პერიოდულად იცვლებოდა და უფრო მეტად რეაქციული იყო. თავდაპირველად, მეტი ყურადღება ეთმობოდა დასავლური ინსტიტუტების მიმართ სკეპტიციზმის გაღვივებას. ნატოში გაწევრიანება შეუძლებლად, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები უპერსპექტივოდ იყო წარმოჩენილი.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლის (ასოცირების შესახებ შეთანხმება და ვიზა ლიბერალიზაცია) შემდეგ ძირითადი ყურადღება ევროკავშირთან ინტეგრაციის ღირებულებით შეუსაბამობაზე იყო გადატანილი. ევროკავშირში განვითარებული მოვლენებიც არ დარჩა უყურადღებოდ – საბერძნეთის ეკონომიკური პრობლემები, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება, პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგობა ევროპული ინსტიტუტების მიმართ გამოყენებულია ევროკავშირის, როგორც საერთო ევროპული პროექტის, მარცხის საჩვენებლად.

ნატოს შემთხვევაში შენარჩუნებული ერთი მუდმივი გზავნილი – რამდენად შორეული პერსპექტივაა და საფრთხის შემცველია საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. ეს გზავნილი საქართველოს მოსახლეობაზე ძალიან ნელა, თუმცა, ეფექტურად მოქმედებს. ყირიმის ანექსიისა და სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაციების შემდეგ ნატო წარმოჩენილია, როგორც წამგებიანი და სტატიკური სამხედრო ალიანსი მაშინ, როდესაც რუსეთის აგრესიული სამხედრო ექსპანსია ნატოზე უპირატესობის მტკიცებულებად არის გამოყენებული. ასევე, ხდება ნატოსა და რუსეთის ქმედებების ერთმანეთთან შედარება და პარალელების გავლება (სერბეთი-უკრაინა, ლიბია-სირია, აშშ-ის ინტერვენციები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში).

რბილი ძალის პარალელურად და მისი ზემოქმედების გასაძლიერებლად, ხისტი ძალის პოლიტიკა მიმართულია საქართველოს მოსახლეობაში შიშისა და დაძაბულობის განცდის შესანარჩუნებლად. ე. წ. „საზღვრის“ უკანონო გავლება ისევე, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივი სამხედრო წვრთნები მკვეთრი გზავნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომ რუსეთი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ხისტი ძალა.

ასევე, სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობის ხელშეკრულებები სეპარატისტულ მთავრობებთან ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსეთი განაგრძობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულებელყოფას და ამ მიდგომით ცდილობს, დაამტკიცოს საკუთარი ძლევამოსილება. შესაბამისად, რუსეთის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში (სირია, უკრაინა) პროპაგანდის ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია.

რუსეთის ფედერაცია კომპლექსურად უდგება მისთვის საინტერესო რეგიონში გავლენის შენარჩუნება-გაფართოების საკითხს და ყურადღებას უთმობს ყველაზე სასიცოცხლო საკითხების შესწავლას: კონფლიქტები, ნავთობი და ბუნებრივი გაზის რესურსები, გეოპოლიტიკური სირთულეები, მილსადენის პოლიტიკა და საინტერესოდ აანალიზებს მომდევნო ათწლეულების გეოპოლიტიკური რისკების, კავკასიის კასპიის აუზის გეოპოლიტიკის, რელიგიის, დემოგრაფიული და მიგრაციის პერსპექტივების საკითხებს და ზესახელმწიფოების პოლიტიკურ კურსს [2, 61-81].

ზემომოყვანილი კონტექსტიდან გამომდინარეობს რუსული პროპაგანდაც, რომელიც, ძირითადად, ანტიდასავლურია. ანტიდასავლური პროპაგანდის ყოველწლიური მედია მონიტორინგის შედეგები 2020 წლის ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი. დაკვირვება ხორციელდებოდა როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები: „2020 წლის მედია

მონიტორინგმა ანტიდასავლური გზავნილების მზარდი ტენდენცია გამოავლინა, სადაც ყველაზე მაღალი წილი ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც მოსდევს ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გზავნილები“ [3, 10-12].

ამერიკა, ნატო, ევროკავშირი, დასავლეთი, რუსეთი, იდენტობა, სოროსი, არასამთავრობოები, გავლენის სტრატეგიები და ნარატივის სტრუქტურა, შიშების კულტივირება, უიმედობისა და სკეპტიციზმის დანერგვა რუსეთი – როგორც დასავლეთის ალტერნატივა – ესენია ის მთავარი ტენდენციები, რომელსაც რუსული პროპაგანდა ემსახურება.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა, ბოლო დროის მსოფ-ლიოს ყურადღების ცენტრში მოქცეულმა საომარმა ოპერაციამ, რომელიც რუსეთის მხრიდან სპეცოპერაციად მოინათლა, მნიშვნელოვან ფაქტორად გადააქცია სწორი და დროული საინფორმაციო პროპაგანდა ევროკავშირისა და დასავლეთის შესახებ. ამ მიზნით, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრები თამაშობენ განსაკუთრებულ როლს და ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობენ გააააქტიურონ საქმიანობები სხვადასხვა ტიპის შეხვედრების, საინფორმაციო კამპანიის გაძლიერების მიზნით გამოცემული ბროშურების სახით. მაგალითად, 2022 წლის დასაწყისში მოეწყო თომას კლაინე-ბროკჰოფის წიგნის „მსოფლიოს სჭირდება დასავლეთი – ლიბერალური წესრიგის ახალი დასაწყისი“ წარდგენა. სწორედ რუსული პროპაგანდის ამ ნარატივის - „ამერიკა და დასავლეთი განწირულია, საერ-თაშორისო წესრიგი დასასრულს უახლოვდება, ბოლო ჟამის წინასწარმეტყველება“ – გასაქარწყლებლად თავად ავტორი წარდგა ქართული საზოგადოების წინაშე და განაცხადა, რომ ამ ნარატივის მღაღადებელნი ნეონაციონალისტებს ნებდებიან. ბერლინელი პოლიტოლოგი გვთავაზობს „მტკიცე ლიბერალიზმის“ კონცეფციას, რომელმაც დასავლეთის რეპუტაცია უნდა აღადგინოს [4, 29].

დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენას და ტრადიციებს – ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების მიერ წარმოებული პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც

თანაბარი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები და რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური/პრორუსული მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები.

რუსეთი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაღები – ამ მითის პროპაგანდისტები ცდილობენ, დაარწმუნონ 54 % მოსახლეობა, რომ ევროკავშირი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურებას და ქვეყნის საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას ცდილობს.

დასავლეთი მხარს უჭერს კონკრეტულ ძალებს და არა საქართველოს სახელმწიფოს – ეს უაღრესად სახიფათო მითია, რომელსაც, სამწუხაროდ, ადაპტირებისათვის მნიშვნელოვანი ბაზა გააჩნია. მისი პროპაგანდისტები იღებენ ცალკეული ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ჯგუფებისა და ექსპერტების ცალკეულ განცხადებებს, ხშირად შესაბამისი კონტექსტის გარეშე და მათ მთელი დასავლეთის ან დასავლეთის სახელმწიფოების ოფიციალურ პოზიციად ასაღებენ.

რუსეთი არის ისტორიული მტრისგან, ისლამური სამყაროსგან დაცვის ერთადერთი საშუალება – ამ მითმა 2015 წლის 24 ნოემბრიდან თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ დიდწილად თურქოფობიის ფორმა შეიძინა [5, 1].

რუსეთის უძლეველობის/რუსეთის მმართველის უძლეველობის მითი – ამ მითის თანახმად, მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ორპოლუსიანია, რომელსაც ორი ზესახელმწიფო – ამერიკა და რუსეთი მართავს. ამ მითის ერთ-ერთი ვარიანტია პუტინის, როგორც სუპერლიდერის მითი, რომელმაც დაამყარა წესრიგი თავის ქვეყანაში და ახლა მსოფლიო წესრიგისთვის იბრძვის.

ევროპა და ამერიკა საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვს – ეს, ერთი შეხედვით, ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული მითი საქართველოს რელიგიურ და ნაციონალისტურ რადიკალურ წრეებში დიდი პოპულარობით

სარგებლობს [6, 1].

როგორც აღინიშნა, სტრატეგიული ნარატივი არა მხოლოდ მიმდინარე მოვლენებს ეხება, არამედ ისტორიას, აწმყოს და რაც მთავარია მომავალს. რუსეთი სწორედ ამ კუთხით ცდილობს ეროვნული ნარატივების შექმნას და მათ წარმატებით გამოყენებას როგორც თავისი ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რუსული ნარატივები არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსეთზე ფოკუსირებით, არამედ ის ცდილობს დასავლური ნარატივების დამახინჯებულად წარმოჩენას მათი გაყალბების და გაზვიადების საშუალებით. რუსეთი წარმოაჩენს ამერიკის შიდა საკითხებს ისეთი ფორმით, რომელიც ძირს უთხრის მის სოციალურ ერთობას ქვეყნის შიგნით და მის იმიჯს საერთაშორისო სისტემაში. რუსული ნარატივის მიხედვით, თავად რუსეთი არის დასავლეთის მსხვერპლი, შესაბამისად მისი უკრაინაში შეჭრა, რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო, როგორც გმირული საქციელი დაიცვას საკუთარი თავი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი კომპლექსური მეთოდებით ცდილობს, გავლენა მოახდინოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე და შეცვალოს ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორი. რუსეთი აქტიურად იყენებს პირდაპირი და ირიბი გავლენის მეთოდებს როგორც პოლიტიკურ აქტორებზე ზემოქმედებისას, ისე სასულიერო პირებთან მიმართებაში. ამ მეთოდებში იგულისხმება როგორც საკუთარი მომხრეების მხარდაჭერა ფინანსური და სხვა საშუალებებით, ისე დასავლური პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია და მითების კულტივაცია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, თბილისი, 2016, European Initiative, German Marshall Fund of the United States.
2. Papava V., Qualitative Economic Features of the South Caucasian Countries: Past, Present and Future in the European Context, Journal: The South Caucasus 2021: Oil, democra-

cy and Geopolitics, p. 61-81. https://www.caucasus-mt.net/publications/search?criteria=in-title&term=The%20South%20Caucasus%202021:%20Oil,%20Democracy%20and%20Geopolitics&parent-id=307&section-id=326

3. კინწურაშვილი თ., ანტიდასავლური პროპაგანდა, თბილისი 2020.
4. თომას კლაინე-ბროკჰოფი, მსოფლიოს სჭირდება დასავლეთი ლიბერალური წესრიგის ახალი დასაწყისი, ჰამბურგი 2019, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2021.
5. ბაქრაძე გ., რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დინამიკა 2016 წელს და მისი გამომწვევი მიზეზები, 2.08.2016, http://regional-dialogue.com/rus-turkey/, ნანახია: 25.04.2022
6. დაუსვით კითხვა ევროკავშირის ელჩს: კითხვები და პასუხები, 14.07.2022. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia, ნანახია: 16.08.2022.

Rona Pertia

Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Doctoral Student

RUSSIAN PROPAGANDA NARRATIVES AND MYTHS AS ELEMENTS OF SOFT POWER

Summary

In the international arena, Russia applies a peculiar mixture of soft power with hard power. This mixture is usually a different form of ideological penetration. For this, Russia finds relatively "fertile" soil in the space of the former Soviet Union, where the "unions" of the Soviet era are still alive in a large part of society. In Georgia, characteristics of Russia's soft power appear in the cultural (values) and historical connection with Russia and with western political values against of Russia's so-called "realpolitik" (power politics).

From the right point of view of the author, Russia is trying to influence the political environment in Georgia and change the western vector of the country's development with complex methods. Russia actively uses direct and indirect methods of influencing both political and other actors. These methods include supporting their supporters by various means, as well as discrediting the Western political course and cultivating myths.